ბარღლანა და დაუწეო ლეგაციას ცქერა. ორმანებიც სწორეთ ბარღლანას წინ გაჩერდენ, დაუდეს წინ ძალი, შეიკანტრუშეს წინა ფეხები, აიწიეს მაღლა ფუნთუშა ცხვირები და სია-მოვნებით მიელაქუცენ.

— მიირთვი, ჩვენო საეგარელო ბარღლანელა, ჩვენ მა-გიერათ მენ მიირთვი, წედან მენ მოგვაშორე მტერი და ახლა ჩვენ საუზმე მოგართვით.

ბარღლანამ ღიმილით დახედა გემრიელ საუზმეს და დი-დის მაღლობის ნიშნათ სამჯერ მიწაზე კუდი დაატეაპუნა.

მზარეულმაც, ორმ დაინასა ლეგაციას მოქმედება, საჩ-ქაროთ გამოარბევინა ჭურჭლის ნარეცხით სავსე გობი, ორმელმიაც ბევრი ძვლები და ჰურები იუო არეული და წინ დაუღეა მაღლებს:

— მოდით კეთილო ცუგუნაებო, აი თქვენთვის რა წენიანი დაგამჰადე, ძეექეცით. მოდი მენც, ბარღლანელავ, ჰელას გეორგიათ.

მაღლებმა სიხარულით დაუწეს სლაპა გემრიელ საჭ-მელს.

ს. ციციშვილი.





## გეპიჩა და მისი ჯორი.

ამაგელი დარები დაიჭირა: მოქლ სამ  
 დღეს იწვიმა, გზები მრიელ ატალახდა და  
 იმერეთის გიურ მდინარეები ისე ადი-  
 დენ, რომ კალაპოტში აღარ ეტეოდენ  
 და მათზე ფონათ გასვლა ცხენოსანი.  
 სათვის შეუძლებელი იყო.

მაგრამ სწორეთ ამ დროს ქვემო იმერეთიდან ქუთა-  
 სისაკენ მიემურებოდა აზნაური ბეკიჩა ქაჯაია, რომელიც  
 ნამდილ ბაჟბაჟ დევსა ჰქვავდა: საძინელი მხდალი ტანისა,  
 უზარმაზარი შეხედულობისა და საარაკო დონის კაცი იურ.

ამოდენა მდევი კაცი კორზე იჯდა და უზანგებში  
 შედგმული ფეხები თითქმის მიწას სწოდებოდენ. საბრალო  
 კორი მრიელ დაღლილუეთ და, თუმც დეზების შიშისა-  
 გამო, ჩქარა მიღიოდა, მაგრამ სმირათ გმინავდა. როგორც  
 იქნა ბეკიჩამ მიაღწი ა უბის წელის ნაპარზე, მაგრამ  
 თქვენ მტერს, რაც სანახავი მან ნახა: გუბის წეალი, სე  
 ადიდებულიერ, რომ კორით-კი არა, რაშითაც გერ გა-  
 ვიდოდა კაცი.

ბეჭიჩამ ეს წინდა-წინაც გარებათ იცოდა, მაგრამ მაინც წამოვიდა მინდან, რადგანაც უამისობა არ შეიძლებოდა. სწორეთ იმ ღღეს ქუთაისში იუო დაბარებული სამსჯავრო-ში და თუ არ გამოცხადდებოდა, საქმეს წააგებდა. მდგან ნარესთან რომ მივიდა, ჩხმოხტა ჯორიდან და ჩაფიქრდა. როგორ უნდა გასულიერ: ჩასულიერ ფონში, მას და მის ჯორს ორივეს მოიტაცებდა წეალი და უსათუოთ დაიღუპებოდენ; სიდიდ არსად არ მოიძევებოდა ამ მდინარეზე. მხოლოთ ფონის მასლობლათ მდინარის მაღალ ნაპირებზე ორი დიდი ხე იუო გაღებული ქვეითი მგზავრებისათვის, მაგრამ მათზე გასვლაც-კი საშიში იუო მაშინ, რადგანაც აღიდებული წეალი თითქმის წვდებოდა ხეებს. დიდ ხანს იფიქრა ბეჭიჩამ და არ იცოდა, როგორ მოქცეულიერ. უნდადა ჯორისათვის დაწესებინა თავი, თვითონ გასულიერ ფეხით ბოგირზე, მაგრამ ქვეითა ღროზე ვერ ჩავიდოდა ქუთაისში და საქმეს ვეღარ მიუსწრებდა; დაბრუნებულიერ უკან და, საქმეს ხომ მაშინაც წააგებდა. კარგა ხანს იფიქრა და ბოლოს რაღაც მოისაზრა და გაიღიმა კიდეც.

მერმე მიუახლოება ჯორს, მოხსნა უკან მოკრული თოკი და ღაუწეო ფეხების შებორკვა, მაგრამ ისე-კი შეუქრა ოთხივე ცეხები, რომ ჯორი არ წაქცეულა. მერმე მოხსრა და მუშასავით მოიგდო ზურგზე; მიუახლოება წეალზე გაღებულ ორ ხეს და იწეო გაფრთხილებით გა-



ଶ୍ଵରା. ଗାନ୍ଧିଲିଙ୍କ ରୀତିରେ ମରିଯୁଦ୍ଧ ମିଥିବଦ୍ଧ, ଜାଗରିତିର ଫ୍ରେଣ୍ଡିଲିଙ୍କ କ୍ଷେତ୍ରରେ ଏହି ପାଦିର୍ବିନ୍ଦୁ, ତାରିଖରେ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ, ଶ୍ଵରା କ୍ଷେତ୍ର ଯେତେ ଯେତେ ଦୂରିତରେ ଏହି ମାତ୍ରିନ କଥା ମେ ରୁ କେମିର ଜାଗରି, ମଧ୍ୟବିନାର୍ଜିନ ଗଢ଼ିଯାଇର୍ବିଦ୍ୟାବିନାର୍ଜିନ, ମାତ୍ରାମ ଜାଗରି, ତାରିଖ, ପରମବିନାର୍ଜିନ ଶାତ୍ରବିନାର୍ଜିନ, ଶର୍ଵିନାର୍ଜିନରେ ଏହି ଏହି ଗାନ୍ଧିର୍ବିନାର୍ଜିନା, ମିନାମ ତାରିଖରେ ଗାନ୍ଧିର୍ବିନାର୍ଜିନା.

ଏ ଦେବିତାମ କ୍ଷେତ୍ରାକ୍ଷେତ୍ରର ଗାନ୍ଧିର୍ବିନାର୍ଜିନ ଫ୍ରେଣ୍ଡିଲିଙ୍କ, ଦୁଃଖରେ, ଗାନ୍ଧିର୍ବିନାର୍ଜିନ କ୍ଷେତ୍ରାକ୍ଷେତ୍ରରେ ଏହି ଦୂରିତରେ ହାତିରେ.

ଦେବିତାମ ଶାତ୍ରବିନାର୍ଜିନ, ରାଜତାକ୍ଷେତ୍ର ଶାତ୍ରବିନାର୍ଜିନରେ ଏହି ଦୂରିତରେ ଗାନ୍ଧିର୍ବିନାର୍ଜିନ, ମାନାମଦିନାର୍ଜିନ ଗାନ୍ଧିର୍ବିନାର୍ଜିନ ଏହି ମତେଲ ମନ୍ଦିରରେ ଏହି ମତେଲ ମନ୍ଦିରରେ, ମାତ୍ରାମ ଗାନ୍ଧିର୍ବିନାର୍ଜିନ ଏହି ମତେଲ ମନ୍ଦିରରେ ଏହି ମତେଲ ମନ୍ଦିରରେ.

ଘ. ଶ୍ରୀଲଭୁବେନ୍ଦ୍ରିଯାଙ୍କ.



სამი არაყი და გონება

(აჭაპი)



აცმა არაყი გაღაჰკრა  
ერთი პატარა ჭიქითა;  
გონებისაკენ გასწია  
სასმელშა ჩქარი ბიჯითა.

მიღდა და დაუკაკუნა,  
ეძახის: „ვარ სტუმარიო;  
მშიერ-მწყურვალი მოესულეარ,  
ჩქარა გამიღე კარიო“  
იშანაც შეიპატიშა,  
სტუმარი ღვთისა არიო.  
ახლა მეორე გადაჰკრა.  
არაყი ზევით გაეშვა;  
გონებას კარზედ მიუხტა,  
უჩეკავს, აღარ მოეშვა.  
გონებამ ჰკითხა: „ემანდა  
კიდევ ეინ აწყარუნებო?“  
„შეც სტუმარი ვარ, მიმიღე,  
უკან ნუ გამაბრუნებო“. — „თუმც აღარ იყო ადგილი,  
მაგრამ რა გაეწყობაო;  
უნდა მივიღო, თორემა  
უფალი გაჯავრდებაო“.

როცა მესამე გადაჭრა,  
 არაუმა აღარ უძახა,  
 გაჭრა და მოურიდებლათ  
 გონების კარებს ეჯახა;  
 ფიცხლათ შეაღო და შედის,  
 აღარც მასპინძელს დაპედა.  
 ამ ახირებულ სტუმარსა  
 გონებამ აპედ-ჩაპედა  
 და ჰკითხა, რათ შეეთრია,  
 თავი რათ გაითავხე და.  
 მან უპასუხა: „ეინ გკითხაეს,  
 ბინა წომ არის კიდეო?  
 —,,რას ამბობ, კაცო, სადლაა?  
 შენაც რომ შემოხვიდეო,  
 მაშინ მე უნდა აედგე და  
 სულ კარში გამოეიდეო“.

ბაჩანა.



## გიორგის საფლავზე.

V.



ათელაანთ სახლის გასწერიე, პატარა ხევ გაღმა აღმართი იწყებოდა, რომლის ფართოთ გადაშლილ ზურგს ხალხი „გუგულის ქედათ“ უწოდებდა და რომლის მაღლობილან კეკლუცად გაღმოიყურებოდა პატარა, ძეელებური ეკულესია წმ. გიორგის სახელობაზე აგებული.

ეკულესის გარშემო ახოვანი თელები იუენენ ამართული და თითქმის პფარავდნენ საყდრის დაჩუქურომებულ და ეამთა ერთარების მეოხებით ხაეს მოკადებულ კედლებს. ეკულესის წინ გადაშლილი მინდობი-კი წმ. გიორგის სანავარდოთ იყო მიტოვებული და კაცის ხელი არ შეჭრებია თავის დღეში არც ხის წკირს ეკულესის გარშემო აყრილს და არც მინდობის აღაღნებულ ბალახს. ხალხის თქმულობით წმ. გიორგი მაშინევ დაჰკურუნჩხაედა ამგვარ თავხედს და მანამ არ მისცემდა შეებას, სანამ მოსანანებლად არ შესწირავდა მსუ-ქან ზეარაკს.

შშეენიერ სურათს წარმოადგენდა მთლათ ეს არე-მარე თავისის ახოვანის ჩრდილებით და ანკარა წერიალა წყაროთი, რომელიც საყდრის მოახლოვებით ძეელებური ქეთკირის ბურჯის ქეშიდგან გამოშესულია და მიხლაკნილ-მოხლაკნული მიქაუქეებდა ფართო, მათლის შემბნებით დაბურულ მინდობრზედ და მინდების ბოლოს გადამჭრელ ხევში ტირილ-ქვითინით ვარდებოდა.

ამ ეკულესის სავანეს მიაბარა თამარმა თავისი ძეირფასი გიორ-გი და მას თან ჩატანა თავისი სიცოცხლე და სიყმაწეილეც. არაეი-

თარი ნუგეში აღარ მოისოდებოდა იმისათვის ქვეყანაზედ და ლმერთ მხოლოდ იწას შეედროდა, მალე მოელო ბოლო დედისათვისაც, რომ ამ მუსლინ და მშენიერ აღავას განუყრელათ შეერთებოდა თავის ძეირფასის ნეშტს.

ყოველ დილით შავი ძაძებით მოსილი თამარი, პირზე შავ-პირ-ბადე ჩამოფარებული, რომ მზის სხივი აღარ დაენახა გიორგის შემ-დეგ, მარიამის მკლავზე დაყრდობილი, გეემართებოდა ხოლმე ეკკლე-სიისაკენ და იქ პირქვე დამხობილი შეიიღის საფლავზე ესვენა მოე-ლის საათობით.

— ბატონო თამარ! — უთხრა მარიამმა ერთხელ, როდესაც ის დასუსტებული და წელში მოხრილი მოჰყავდა სასაფლაოდან: — რას ფიქრობთ, დრო არ არის გიორგის ძეგლის ავების შემზაღებას შე-უდგეთ?

— დიახაც რომ დრო არის, მაგრამ ეელოდი რომ ერთო ქვის ქვეშ განეისვენებდით მე და ის და მე-კი ჯერ ისევ დედა-მიწაზე და-ვიარები! ნუ თუ ჩემმა უბედურმა სელებმა უნდა დაადოს შავი ქვა იმის ძეირფას გულს! და თან გულის გამგმირი ქეითინი დაიწყო თამარმა.

— სულმოკლეობთ, ბ-ნო თამარ! — ცოტა არ იყოს, სასტიკათ მიუკო მარიამმა — და უნდა გამ-აგიოტყდეთ, რომ მე აქ ვეღარ დაერჩე-ბი, მე აღარ შემიძლია ამდენი უსაქმურობა აეიტანო. თქვენი თა-ნახლება საყდარზე პირთამზესაც შეუძლიან და მე-კი ჩემ ჩვეულებ-რიე საქმეს უნდა დავუბრუნდე.

— რას ბძანებ, რას! — შესძახა აკანკახებულმა თამარმა — ნუ თუ მიმატოვებ?

— დიახ, ბატონო! მოძრაობა და საქმიანობა ჩემი სიცოცხლი-სათვის აუცილებელი საჭიროებაა, უამისოთ მე ეერ შევძლებ და არც მიუცემ ჩემ თავს ნებას უსაქმურობისას. თქვენთან-კი, წელანაც მოგახსენეთ, კულას შეუძლიან ჩემი მაგიერობა, აი პირთა-მზეს კი- დეც ენატრება თქვენი ხლება და ნუგეშისცმა!

## გიორგის საფლავზე

თამარი ისე შეეჩერია, ისე მიენდო და ისე მკვიდრათ დამყარა ყოველი სასოება სეიმინიშეილის ქრისტი, რომ თავისი დღე ვე-  
რა მოიტიქრებდა იმის მოშორებას და იმიტომ ამ მოულოდნელმა  
განცხადებამ მუხლოთ მოჰკვეთა და საშინელ სასოწარკვეთილებაში  
ჩავდო.

— მაპატიეთ რომ დაგივიწყეთ და ჩემი უზომო მწუხარება თავს  
მოგახეით, მაპატიეთ, თქვენი ღვთის გულისათვის და ნუ მიმატო-  
ვებთ! მობძანეთ რა გნებავთ, რა საქმე გაგიჩინოთ, ან მე რა მოეიქ-  
მედო, დამარიგეთ! მე მზათა ვარ ყოველი თქვენი სურვილი ავას-  
რულო.

— მაშ ხელი მომეცით, სიტყვა, რომ გამხნევდებით და გიორ-  
გის ძეგლის აგებას შეუდგებით.

— მოგყვებით ყველაფერში, გაძლევთ სიტყვას, გეფიცებით გი-  
ორგის საფლავს... და თან პატარა ბავშვიერი უსუსურათ მოტიჩალი  
თამარი გადაეხება მარიამს.

— მაშ, ჩემი პატია ქალბატონო, ალექსით და მგრძნობიარეთ  
უთხრა გულაჩუუებულმა მარიამს: მე მოგავონებ, მხოლოთ მოგა-  
ვონებ შენ მოვალეობას, იმ მოვალეობას, რომელიც სასოწარკვე-  
თილებამ დაგავიწყა. ყოველი დედის საეალდებულოა შეიძლი ისე გა-  
მოზარდოს, რომ თავის ქვეყანას გამოადგეს, თავის ხალხს არგოს  
რამე და მის ჭირს და ვარამს უჭირისუფლოს. მხოლოთ ამგვარი  
დედა ლიჩისა თაყვანებისა და მხოლოთ ამ გვარ დედას შეუძლიან  
სოქეას: ჩემი მშობლიური მოვალეობა და დანიშნულობა აესრუ-  
ლო...

— თვ, მარიამ, რისთვის მაძლევ მე მაგ საყვედურს! გაწყვეტი-  
ნა ტირილით თამარმა მარიამს. განა გიორგი რომ მყოლოდა, მე  
დავიგიწყებდი ჩემ მოვალეობას... მაგრამ ეხლა რაღა გაეწყობა?..

— რა, ჩემი საყვარელო შეილო, და ის, რომ გიორგის მაგი-  
ქობა შენ გაუწიე შენ ქეყანას, შენ ხალხს და მით გიორგი უკვ-  
დავი ჰყავი, და საუკუნო სახსენებელი გახადე მისი სახელი... აუგე



მას ძეგლი ხელშეუხებელი, ხსოვნა და დიდება დაუსრულებელი...

— ამა როგორ? რას მიჩინევ, დედის მტავსათ საგულებელო, აღტაცებით შეკვერა თამარმა. მე თავ-განწირულობით შევასრულებ სუყელაფერს რაც-კი მოუპოვებს გიორგის სულს შვებას და მის ხსოვნას დიდებას და ჰატივისცემას!

## VI.

გაზაფხული ნაადრევი დადგა. ბუნებამ ჩვეულებრივ ნელა-ნელა, მაგრამ შეუფერხებლივ დაიწყო გამოლეიბება. ნათელაან კარს გარ-შემო სიცოცხლე ახმაურდა, ხალხი შრომას და მოძრაობას შეუდგა. აქა-იქ გუთნები დაიმართა. ყოველი სულდგმული გაზაფხულის მზის ნაზმი ღიმილმა გარეთ გამოიხმო და დიდი და ჰატარა, ჰირუტყვი თუ კაცი საერთო ცხოვრების ფერხულში ჩაბა.

თამარი, ამ სოფლის ბატონი და ჰატრონიც, გამოფხიზლდა. თავისი შევი, სქელი ჰირადე უკან გადაიწია, შეუწყვეტელი ცრემ-ლის დენა შეაჩერა და მარიამის წინადადებას, გიორგის ძეგლის ავე-ბის გეგმის შესრულებას შეუდგა.

ერთ კვირა დღეს მოელი სოფლის მამა-კაცობა მოიწეოა თავის კარებზე და შეეკითხა: იყისრებდა სოფელი მუშაობას წმ. გიორგის გარე შემო, თუ არა? „მე მინდა გუგულის ქედი, სოქეა იმან, გავა-სუფთაო შამბარ-ძეძეისაგან და ასი წლობით უზმარებელი, გაყამი-რებული მამული ისევ სახმარებლათ გადავაქ-კიო“.

— რას ბძანებ, ქალბატონო?! რას! ნუ თუ თქვენ იყისრებთ ჩევნის მფარეველის და მწყალობელის წმ. გიორგის განრისხებას? ვე-ნაცვალე იმის სახელს და დიდებას,—და თან სასოებით ჰირჯვარი გა-დიწერა მოხუცებულმა ნინიამ,—ნუ ინებებ მავ საქმეს, ნუ ინებებ იმის დარღვევას, რაც მამა-ჰაპით ხელ-შეუხებელი ყოფილა!

— ეხლაც საზმარიელ მახსოვეს, დაუმატა მეორე მოხუცმა გი-

ორგამ, როდესაც ცხონებულმა პაპა თქეენმა აეთანდილ ნათელა-შეილმა მოინდომა „გუგულის ქედის“ გადახენა, მთელი სოფელი გუთნებით გაიყვანა, დიდი ნარჯიც გასწია იმ დალოცებილმა, მაგრამ წმ. გიორგიმ არ უყამყლა, სადილის დროს, შეკველევის თელე. ბის ჩილოში, დამბლა დაეცა და მას შემდევ მალეც მიიცალა; რათა, ქალბატონი, რათ ნებულობით განსაცდელში ჩავარდნა? განა ცოტა გაქვთ სხვა მამულ-დედული, სარჩო-საბადებელი? ან რა ბევ-რი სარჩენ-საკედი თქეენ გახევეიათ, რომ ეკვლესიას თავის სამფლო-ბელო არ გამოსწიროთ? სხვა რომ არა იყოს-რა ი ძეირუასი ბალ-ლი იქ გიმარხიათ, იმის საფლავს მაინც ეცით პატივი.

პირველში თამარი თითქო შეირყა და უკან დაიწია, ცრუ-მორწმუნოება იმაშიაც მძლავრად იყო გამჯდრი, მაგრამ რომ შეხე-და მარიამის აღელევებულ სახეს, გაახსენდა ყოველი იმისი მოსაზრე-ბა „გუგულის ქედის“ გამოყენებაზე და დაბეჭითებით უთხრა გლე-ხებს: მაშ კარგი, რაკი ევ არის თქეენი უკანასკნელი სიტყვა, შეტი ღონე ალარ არის სხვა, გარმიანელი უნდა მოვიყენო სამუშაოთ. და თუ შემდეგისთვის თქეენგანი გადაიფიქრებს ეინშე და ხელს შოპკი-დებს მუშაობას, იცოდეთ კარგ გასამრჯველოს აიღებს, საქმე საჩქა-როა და ფულს არ დაწოვგავ. მოიფიქრეთ, კარგა ბლომა ფული და-იხარჯება და ხელიდან ნუ გაუშებთ. სხვა რომ არა იყოს-რა, ის, რაც უნდა გაკეთდეს, თქეენი მომავალი ბეღნიერების საძირკეელის ჩამორელი იქნება და, სირცხვილია, სხვის ხელით გაგიკეთდესთ.

ხალხი აირ-დაირია, ჯგუფ-ჯგუფათ გადგა განზე, ერთმანეთში მოილაპარაკა, აიღ-დაიღო და ბოლოს მაინც უარი განაცხადა: —არა, ქალბატონი, ჩეენ ღეთის რისხეას არ დაეიტებთ თავზე და არც თქეენ გირჩევთ ხატის განაწყინებასო. და ამ სიტყვებით დაიშალნენ.

მარიამი მეორე დღესვე ქალაქისკენ გაემგზავრა და ერთ კეირა. ჟე ორმოცამდე დახელოვნებული მუშები ამოასხა. თან ამოიტანა გამიჯნული პლანი „გუგულის ქედისა“ და მაზე გასაკეთებელის ბა-ლის და სკოლის შენობისა, ნაანგარიშევი ხარჯით აღრიცხვა ყოველი



გასაკეთებელი საქმისა. თამარი აღტაცებული იყო, რომ საქმე ასე სწრაფლათ გაეწყო და პრილის პირველიდან მუშაობა დაიწყო. ახმაურდა საუკუნეებით მიყუჩებული და გავერანებული არე-მარე. კრგათ დაჯილდოვებული მუშები ცეცხლიერით მოვდევნ სამუშაოს: გაჩეხეს და გამოასუფთავეს ეკკლესის გარშემო შეძურვილი და გაძემვიანებული ტყე, მიგრეხილ-მოგრეხილი და უკუ-უკლოთ მოხეტიალე წყაროს რუ გაასწორეს, ჩაალრმავეს, ნაპირები გაუმაგრეს და ამ გვერათ მისი წყალი ერთი ხუთათ გააბეჭრეს. მინდორზე ატეხილი შაბმნარი ცეცხლით გადაბუვეს, აქა-იქ ჩაჭაობებული, ძევლიდან დრჩნილი ნასახლარები ამოავეს და მთელი მინდორი ხელის გულივით გადასწორეს. შემდეგ შეუდგენ გზების, ბილიკების დალარვას და მათ გარშემო ხეხილის ჩაყრას.

მარიამი, როგორც ნამდევილი ხუროთ მოძღვარი, ისე წინამძღვრობდა მუშებს, უჩენებდა, განაცემდა, ანაწილებდა დროს და საქმეს. რაც შეეხება თამარს, იმას ხომ ვეღარავინ იუნდა: მზეთუნახავი და მოუძლურებული ქალბატონი ახლა რიხიან და მოსაქმე დედაკაკათ გადაიქცა. მწუხარებით მოხრილი კისერი მაღლა აიღო, ცხველი აზრით და გადაწყვეტილის მიზნით განათებული პირის-სახე მზეს დანახვა. ეს მთელ დღეებს „გუგულის ქედზე“ ატარებდა, ყოველ საქმეს თვალ-ყურს ადენებდა, მუშებს ამხნევებდა, იმათ საზრდოზე და ბინაზე მზრუნველობდა, თან ხშირათ შედიოდა ეკკლესიაში, ემთხვეოდა გიორგის ძეირფის საფლავს და როგორც ცოცხალის, როგორც პატრიონს ყოველის საქმისას, ჩასტუტუნებდა: „გამო, გამოიხედე, ჩემო მშვენიერო, დაინახე რა რიგ ბრწყინვალდება „გზგულის ქედი“, რა რიგ სწრაფათ მიღის საქმე და რა მალე იქნება აგებული ის ძეგლი, რომელიც შენ სახელს უკედავ ჰყოფს და შენს გარშემო ნათელს მოჰყენს“.

## VII.

ნათლიანელმა გლეხებმა დიდხანს იყო მანეს იმაზე, დაეწყოთ

მუშაობა, თუ არა. აქაურმა დედაკაცებმა მრავალი სიხშარი ნახეს, მრავალი რისხეა და წყრომა უწინასწარმეტყელეს თავიანთ ქმრებს, შეიღებს, ძიებს, ქალბატონისგან გამწყრალებულის წმ. გიორგისა-გან, მაგრამ ნამდევილმა თავისი გაიტანა: „გუგულის ქედი“ გაიწმინდა გასწორდა, გამშვენიერდა, წყაროს დარუება და ჭაობების ამოშრობა ცეკვლასთვის თვალსაჩინოთ გამოჩნდა და რისხეა და შეჩერება-კი არსაიდანა სჩნდა. სამუშაოში აღებული ფული სხვის ხელში გა-დაღინდა, მაშინ როდესაც აუარებელი მუშა ხელი აქაურებისა მუქ-თათ სცდებოდა.

— ტყულა ცცდებით, მედა ჩემმა ღმერთმა, უთხრა ნინიამ ერთ-ხელ სოფლის მოედანზე შეყრილ მოლაპლანდარე კაცებს. თუ წმ. გიორგის სწყინდეს იმისი გარშემოს ხელის შეხება, განა მაგ მოსულ ხალხს-კი ეერ მოსტრებდა კისერს?

— ჴო და! დაეთანხმა აქ მყოფი მოხუცი გიორგაც, და მერე რამდენი ფული დავკარგეთ ტყუილათ! შაბათამით რომ ქალბატონი უსწორდება ი მოთხეულ ვიგინდარებს, სწორეთ რომ გული მი-წუხდება.

— ახლა აგრე ამოაბთ და მაშინ-კი ოქვენ გაგვაგიქეთ <sup>თუ</sup> და უარი გვათქმეენეთ, საყვედურით მიუგეს ბებრებს ახალგაზდებმა. ეხლა ჩალა გავდეწყობა!

შაისის გასულს ყოველი მოსამზადებელი საქმე გუგულის ქედ-ზე გათვალისწინებული იყო: თყალ-გადუწედენელი, გაჩეხილის ტყის ფიჩით შემოფარგლული შინდორი პატარაპლივით მორთული იღვა, სკოლის საძირკეელი მთელის თავის სიგდე-სიგანით გათხრილი და დამზადე-ბული იყო.

○ ამარმა საძირკეელის საკურთხებლათ მოიწვია მთელი სოფელი და ცეკვლაშ თვალით დაინახა ყოველი გაკეთებული. კურთხეის შემ-დეგ, მარრამი მიუბრუნდა ხალხს და თავისებურის ტკბილის და გრძნო-ბიანი სიტყვით უთხრა: „აბა, შეილო, მიიხედ-მოიხედეთ წია კარგათ

დაინახეთ თუ რა შეუძლიან კაცის ხელს და მის გონიებას! სულ  
 ორი თვე არ არის, რაც ორმოცამდე კაცი მუშაობს ამ საუკუ-  
 ნებით მიტოვებულ და აოხრებულ მამულზე და ნახეთ რა ცელი-  
 ლება მოახდინეს: ნოტიოსა და ჭაობის მაგივრათ მშრალი და მზის  
 თვალით გაბრწყინვალებული მდელო გამოჩნდა და დარსებული და  
 ამის გამო ერთი ხუთათ ქცეული წყლის მოწყალებით ეს მდელო  
 ედემის ბალათ გადაიქცა. ტყის გაჩეხით და გასუფთავებით ძეირთასი  
 ძეელებური ნაშთი, ეკულესია, ხაქს და სინესტისაგან დანგრევას და  
 განადვერებას ასცილდა და თავისი მშენიერი ხელოვნური სურათ-  
 ხატებით დამშენებულნი სველი კედლები მზეს გასაშრობათ მიუშეი-  
 რა. ნუ თუ წმ. გიორგი კაცზე ნაკლებათ იგრძნობს მაღლობას იმისადმი,  
 ვინც ყველა ეს მოაგვარა? და აკი ხედავთ კიდეც რომ წმ. გიორგი  
 არა წყრება! მაშ პირველი გადიწერეთ და დღეიდან თქვენ გააგრძელეთ  
 საქმე. უპრიანია თქვენგნით მონაგარი ფული, თქვენვე დავიბრუნ-  
 დეთ, უპრიანია თქვენ საქმეს თქვენვე ემსახუროთ, და რომ მომავა-  
 ლი ძეგლი, რომლის ასაშენებლათ თამარი არ ზოგავს ფულს, შრო-  
 ბას და სიყვარულს, თქვენთვის იქნება ა ებული, ამში ხომ ეჭვი  
 არავისა გაქეთ?

— მაშ ეიღასთეის-და იქნება... დარცხვენით წაილულლულა ბე-  
 ბერმა ნინიამ და მერე ხალხს შესძახა: „ამა, ბიჭებო, დაიძარით, გე-  
 ყოფათ ჯიუტობა! ხეალვე ურმები შევაბათ და დავიწყოთ შენობის-  
 თვის მასალის შემზადება. ღმერთმა ადლეგზ ძელის ვინც ჩეენი უმეც-  
 რება თვალით დაგვანახვა, ღმერთმა სულით აღამაღლოს და და-  
 უვიწყარი ჰყოს ჩისი სახელი, ესის სახელ-გაზედაც დღეს ჩეენთვის  
 განათლების საძირკული ჩაიყარა.

## VIII.

დადგა ზამთარი. მარიამმა მოუხშირა ქალაქში სიარული და იქი-  
 დან ამოშიდული ბარგით სტანციიდან ურემი-ურემშე მიდიოდა „გუ-

კულის ქედისაკენ“, სადაც შენობა დამთავრებული იყო და ახლა ოთა-სებს შიგნიდან ამშენიერებდენ.

ხალხი მოუთმენლათ მოელოდა გიორგის დასაფლავების წლის-თავი. ყერლამ იცოდა რომ ეკულესის და სკოლას იმ დღეს აკურთხებდენ.

შობის მეორე დღეს, გიორგის გადაცვალების წლის-თავზე, თი-თქო განებ, მშენიერი, მხით გაბრწყინვალებული დღე დადგა. ნა-თელაანთ-კარელები აღრიანათ აიშალნენ, დიდი და პატარა გაფაცი-ცებით ემზადებოდა ამ აზა ჩერულებრივი შემთხვევისათვის. მეტადრე სოფლის მოზარდი თავობა, ქალი და ვაჟი, ახალ თბილ ტანისამოს-ში გამოწყობილი, ღელავდა, ცმუკავდა და მოუთმენლობას იჩინდა ყველაფერში.

— იშ, ნეტა, როდის დაირეკება წმ. გიორგის ზარი? ეკითხე-ბოდა პატარა ნუშა თავის დედას. სულ გული მიცახცახებს. ნეტა ღლესვე დაგვაწყებინებენ სწავლას?

— რა ვიცი, შეილო, მე სკოლა თეალითაც არსად გა-მიცდია და რა გითხრა. ნეტავი თქეენა, თქეენ უკეთეს დროს შე-ესწარით, სწავლითაც გასწავლიან და ე ტანისამოსიც კიდევ ზედ მე-ტი არის...

— ჰა და! კოპწიობით და ტრიალით სთქვა პატარა ნინუამ, მერე რა კოხტათ არის შეკერილი, არა გაეს მამიდა ნენეს შეჯღა-ნილს.

— ამობენ ვინც კარგათ ისწავლის ამ სკოლაში, იმას მერე სხვა უფრო დიდ სასწავლებელში გავზარიანო. ნეტა მე შემხედვს აგეთი ბედი! დარბაისლათ წარმოსთქვა თერთმეტი წლის გიგლაძე, რომელიც თავის ამხანაგებში „კეუს კოლოფათ“ იყო წოდებული.

— მე-კი მჭედლობა უნდა ვისწავლო, წაიდუდუნა მოსხევპილმა ვანომ. ჩენ სოფელში ერთი მჭედელი არ არი, საქონელი დასაჭედათ „ტანციაზე“ უნდა წავიყვანოთ ხოლმე...

— ამობენ, ბიჭო, დურგლობის სწავლასაც პირებენო!



ძინ, ძინ, ძინ! მოისმა ამ დროს წმ. გიორგის ეკკლესიიდან ზარის რეკა და შესწყვიტა გაუთავებებელი ბაასი.

— წმიდა არს შენი სახელი! აღტაცებით ქუდი მოიხადა ბებერმა ნინიამ და სასოგბით გადაიწერა პირჯვარი. — მადლობა ღმერთს რომ ამ დროსაც მოეესწარი და ნათლიანთ-კარში ზარის რეკა კიდევ გაეიგონე. შეგცოდე უფალო და მაჲატიე რომ მე ამის წინააღმდეგი ვიყავი.

სასიამოენოთ გაიფანტა ჰარის წკრიალი და მის მოწოდებას საჩქაროთ შეუდა უოელი სულდგმული. კმაწეილები გაეშურნენ ბატონიანთ კარისაკენ, სადაც მარიამს მეთვალ-ყურეობით ოთხმოცამდე გოგო-ბიჭი ხელი-ხელ ჩაკიდებული, წყვილ-წყვილათ და ლაგებულნი გაემრთნენ გუგულის ქედისაკენ.

პატარახანს უკან ეკკლესიის ფართო მოედანი აუარებელის ხალხით აიგსო; აქ მოეყარათ თავი არა თუ ნათელაანთ-კარის გლეხკაცობას, სკოლის და ეკკლესიის საკურთხევლათ შეყრილიყვნენ — ყველა ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრები: ‘თავადი, აზნაური, მღვდელი და ერის კაცი და ყველა ესენი გაკეირდებით შინჯვალნენ ასე უცბათ აშენებულ იენობას და თან ისე მკედრათ აშენებულს და მოწყობილს, კოხტათ ნაგებ სასახლეს, რომლის ზემოდან მიკრულ დიდ შავ ფიცარზე იქროს ასოებით იყო ამოჭრილი: „გიორგიშენის სასოფლო სკოლა“.

არა ნაკლებ აღტაცებაში მოდიოდა ხალხი ეკკლესიის გარშემო მიღამოს გამშენიერებით: დაკრიალებული და სილა დაყრილი გზაბილიკები, აქა-იქ გზების პირათ დაგმული მწერენთ შელებილი გრძელი სკამები, შარა და შარა ჩამწკრივებული სექილის სეები, გზის პირას თავის ჩაღრმავებულ, გასწორებულ და გამაგრებულ კალაპოტში მოჩუქჩუქე წყარო, რაღაც არა ჩვეულებრივ წესიერების და მყუდროების სიამოენებით აგსებდა ადამიანის გულს.

პატარა, განახლებული, გაბრწყინვალებული და მზის სხივებით საესე ეკკლესია, რასაკვირველია, ეტრ იტევდა აქ მოსულ მლოც-

მელთ და ვინც-კი მოასწრო შიგ შესვლა, ყველა დასტება ამ დღის-  
თის საგანგებოთ მოწვეულ მგალობელთა ტკბილის გალობით.

მაგრამ ყველაზე კმაყოფილი გაკეთებული საქმით თამარი იყო,  
რომელიც დაწიქილი თავისის ძეირჭასს საფლავზე, მდუღარებით  
და სასორით ჩასტუტუნებდა იმის სამარეს: „ავასრულე, შეიღო,  
ჩემი მშიაბლიური მოვალეობა და შენი სახელი უკვდავი ვყავი; აგი-  
გვ ძეგლი ხელშეუხებელი და დიდება დაუსრულებელი“.

## IX.

წირვის შემდეგ შემოსილი ღვდელი, ხელში ჯერით და იაზმის  
სხურებით, მგალობელნი, მოსწავლენი და მასწავლებელნი სკო-  
ლისკენ გაემართენ. აუარებელი ხალხი მიაწყდა სასწავლებლის ბალ-  
კონებს, ყველანი სკოლიობდენ შიგნით შესვლას და იმ განწყობი-  
ლების ნახვას, რომლის ქებას სამზღვარი არა ჰქონდა და ათასის გა-  
ზეიადებით ერცელდებოდა ხალხში. მართლა და არაფერი იყო და-  
ზოგვალი ამ ძეგლის გასამშენირებლათ, რომლის ასაგებათ შრო-  
მობდენ ორი მოსიყვარულე დედაკაცი. სამი დიდი ზალა, ერთი სა-  
მოსწავლო და ორი სახელოსნო ყოველის საჭირო ნიერით და ია-  
რალით იყო გაწყობილი, არავითარი წელილი არ იყო დავიწყებული  
და რაც იყო, იყო მკვიდრი და თან ლამაზი, ძეირად ღირებული.

მაგრამ ყველაზე მომეტებული კურადღება მიიპყრო მეოთხე  
ზალამ, რომელიც გიორგის ზალათ იყო დარქმეული და რომელიც  
დანიშნული იყო მასწავლებელთა და გამგეთა დასასვენებლათ. აქ  
ვადმოეტანა თამარს ყოველი ის ნიერი, რომელიც-კი შეადგენდა  
გიორგის საკუთრებას, იმის სადღომის გამშევნირებას. ოთახი მთლათ  
დაფუძნოლი იყო ძეირჭასი ხალისებით, ფანჯრები ყვავილებით, კედ-  
ლები მშვენირის სურათებით, კუთხეები წიგნის შკაფებით... როია-  
ლი, დიდი, ძეირჭასი, გიორგის საყვარელი როიალიც-კი არ დავიწ-

ყებოდა თამარის იმის ძეელ სადგურში და ისიც საპატიო ადგილას იყო გამოჭიმული.

მხოლოდ ერთი საგანი იყო ამ ოთახში დაფარული, თეოტ ტი-ლი გადაფარებული, მთლათ მწერანე ხეებით შემოჩტყმული და ყუე-ლას ცნობის-მოყვარეობას აათასკეცებდა თავის საიდუმლობით. და აი როდესაც მღვდელმა ასხურა იაჩით ყაველი აქ დამსწრე და ყო-ველი აქ მუებარე საგანი, მარიამი მიუძღვა იმას იმ დაფარულ საგ-ნამდე, სიფთხილით გადახადა პირსაფარი ამ სიტყვებით: „აკურთხე, მამაო, მოსახელე და პატრიონი ამ დწესებულებისა“,

— პატარა გიორგი, პატარა გიორგი! აღტაცებით შეჰვეირეს ყველა აქ დამსწრეთ და უნებლივთ მუხლი მოადრიკეს იმ პატარა ბალლის სურათის წინ, რომლის სახელობითაც აშენდა და გამშვე-ნიერდა ეს ბინა განათლების, ეს სახლი მომავალის, წინ-სელის და წარჩინების.

მტირალი თამარი მიუახლოედა თავის პირმშოს საოცრათ მგზავეს ქანდაკებას, მხურეალეთ დაეკონა იმის გაქვავებულ ტუჩებს, მერე იმის წია დადგებული ოთხათ მოკეცილი ლურჯი ქალალი აიღო ხელში და ჯერ ისევ მუხლ-მოდრეკილ საზოგადოებას წაუკითხა:

„მე, თამარ ნათელაშეილის ქვრივი, უკანასკნელი წარმომდგე-ნელი შეილიც და რძალიც ამ გვარეულობისა ცწირავ ჩემ შემდევ მოელ ჩემ საცხოვრებელა, მთას და ბარს, უძრავს და მოძრავ ქა-ნებას ნათლიანთ-კარის გლეხაციბას, იმ პირობით რამ ერთი მე-სამედი მოელი მამულის შემოსაელისა ამინის უკუნისამდე ხმარდე-ბოდეს გიორგიშენის სკოლას და სოფ. ნათელაანთ-კარს დღეის შემ-დეგ გიორგის სახსოვრათ ეწოდებოდეს სკოლისავე სახელი „გიორ-გი-შენი“.

პპ. გაბაშვილისა.

(დასასრული).

## წმიდა გუნდი

ცამეტთა კაპადოკიელთა მამათა.


(„ბუნების ქარის“ მამაგალი გამოცემიდან).




ეფე ვახტანგ გორგასლანის უდროო სიკედილმა  
ჩეენი ქეყყანა ჩაავდო დიდს განსაცდელში. ვახტან-  
გის მემკიდრე თავისს გმირსს მამას ბეერით არაუ-  
რითა ჰეავდა და მან ექრ შეიძლო გამარჯობულის  
სპარსელების შეკავება. ამათ კელავ მოიმავრეს ფეხი ჩეენს ქეყყანაში,  
იწყეს ბრძანებლობა ქართველს მეუეზე და ხალხზედა, მოიწადინეს გა-  
ძლიერება თავისი სარწმუნოება. განახლდა ორის სარწმუნოების  
შორის სასტიკი ბრძოლა. ბრძოლა ქართველებისთვის მეტად ძნელი  
იყო, რაღვანაც მაშინდელი სპარსეთი უძლიერესს სახელმწიფოდ  
ითვლებოდა. ბევრი სულ-მოკლვ ქართველი ღალატობდა ქრისტესა  
და სპარსელების სარწმუნოებაზე გადადიოდა, რათა ემებინა ბრძ-  
ნებლებისათვის. რიცხვი მღვდელთა და ეკკლესითა მცირდებოდა,  
ქურუმში და ბომონნი-კი მრავლდებოდენ. სწორედ განსაცდელის  
კამი დადგა.

ამ საშინელის გაჭირების დროს სამხრეთის მხრიდან ქართვე-  
ლებს ძმურად გამოუწვდინა ხელი ერთმა ქეყყანამ, სადაც ესახლა  
ქართველთა მონათესავე ერი. ამ ქეყყანას ეწოდებოდა კაპადოკია.  
იგი მდებარეობდა მცირე აზიაში და ეკუთვნიდა ბიზანტიის იმპერიას,

ქართლმადიდებელის ქრისტიანობის მცენრისა, კაპადოკიაში იმ დროს ენთო ძლიერი ლამპარი ქრისტიანობისა, მასში კიდეთ კიდემდინ მო-  
 ფენილი იყა სახარების სწავლა და იქ ბრწყინავდენ თავისი წეიღა  
 ცხოვრებით მრავალნი მონასტერი და უდაბნონი. ლრმა ცოდნა  
 საღმრთო წერილისა, საეკლესიო მცენრ-მეტყველობა, ქრისტიანული  
 ღვთის-მსახურება ბევრად უფრო მაღლა იდგა აქ, ეიდრე სხვა ქვეყნებ-  
 ში. ქრისტიანობის მნათობთა შორის დიდად საპატიო ადგილი ეჭი-  
 რათ კაპადოკიის შეილთა. წმიდა გიორგი, საქართველოს პატრიონათ  
 მიჩნეული, წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი, წმიდა გისი-  
 ლი დიდი, მისი განუყრელი მეგობარი გრიგოლი ღვთის მეტყველი,  
 წმიდა გრიგოლ ნასელი და სხვანი ცენტრ ლეიძლნი შეილნი კაპადო-  
 კირსა და, მაშასადამე, თესლით ქართველები.



იოანე ზედაზნელი




შიო მდვივალი


კაპადოკიის მონასტერთა შორის ღიდათ განთქმული იყო ერ-  
 თი სახარების, დაარსებული წმიდა იოანესაგან, რომელსაც მრავლად  
 დამოწამებოდნენ მამანი, ღირსნი თავისი ყოვლათ ქებულისა მოძლერი-



ს. ამ წმიდა იოვანეს და მის მოწაფეთა ესმოდათ გაჭირებული მდგრა-  
ბარეობა ქრისტეს სარწმუნოებრივ „იეჲრიაში“ და გულით სწორებნენ  
ამის გამო. დღე და ღამი სულ იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ ეშ-  
ვლათ თავისი მონათესავე ერისათვის. ბოლოს მოუეიდათ ამბავი,  
რომ ცეცხლის თაყვანისცემა იმარჯვებს ქრისტიანობაზედაო. მაშინ  
ითანებ და მისმა მოწაფებრივ გადასწუვეობების დაუყოვნებლივ დაეტოვე-  
ბინათ თავისა უდაბნო; გამოსთხოვებოდნენ სამოძღვანოსა და წამო-  
სულიყვენ საქართველოში, რათა თავისი წმიდა ცხოვრებით და ქა-



დავით გარევალი



პეტრი მარტინოვალი

დავით გარემოცებინათ შეჩერებული ქრისტიანობა და მოესპოთ  
ცეცხლ-თაყვანისცემლობა. ითანებ საქართველოსად მიაჩნდა თორმეტის  
მოწაფის წამოყენა, ხოლო იმის მონასტერში იყო ასზე მეტი ბერი,  
და ყველა მონატური იყო წამოსელისა. თეთით ითანებ არ იყისრა არჩე-  
ვანი, მიანდო ლეთის ნებასა და წილი უყარა თავისს მოწაფებსა. წი-  
ლი ხედა თორმეტს ყოვლად ლირსეულს, საუკეთესო მის მოწაფესა.  
წმიდა მამებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ მოელოდათ მრავალი



დაბრკოლება, წეალება, ტანჯვა და იქნება თვით სიკედილიცა სპარ-  
სელებისაგან; მაგრამ ისინი ამას არ შეუშინდნენ. გამოეთხოვნენ თა-  
ვის საყვარელს უდაბნოს, გამოესალმწერ თავისს ძეირფასს სამზობ-  
ლოს, დაულოცეს დანარჩენს ბურებს სავანე და გამოვმურნენ ჩრდი-  
ლოეთისაკენა. ჩქარა შემოსდგეს მათ ლოცვა-კურთხევით თავისი  
წმიდა ფეხი ჩენს ქეყანაში. იმ დროს საქართველოსა და კაპადო-  
კიის შორის ხშირი მისელა-მოსელა იყო, რადგანაც ანტიოქიის პატ-  
რიარქი ამწევებდა საქართველოს კათოლიკოსას. ამის გამო ქართვე-  
ლებს შეუტყობლად არ დაურჩათ წამოსელა წმიდა მამებისა და სი-  
ხარულით ემზადებოდნენ მიგებებასა. იმ დროს მცხეთის კათალიკოსმა  
სიზმარი ნახა, ეითომე მთელი გუნდი ანგელოსთა მსგავსი აღმინარებისა  
შემოედა სამხრეთიდან საქართველოში. ეს სიზმარი უკუკელად მოასწა-  
ვებს წმიდა მამების მოსელასაო, სოქეა კათალიკოსმა, და გავიდა სამღედ-  
ლოებით მცხეთიდან სამხრეთისკენ მისაგებებლად ძეირფასი სტუმრები-  
სა. ჩქარა გამოინდა გუნდი წმიდა მამებისა დასაელეთის გზით, საიდა-  
ნაც წინად მოედიდა თვით წმიდა ნინო. მამანი მოდიოდენ ფეხ-შიშ-  
ელნი და წინ მოუძღვდათ მათ ითანე ზედზნელი. ორივე მხარე  
შეხვდა ერთმანეთს სიხარულის ცრემლებითა. წმიდა მამებს მხურვა-  
ლე სიყვარულით მიესალმწერ კათოლიკოსი და სამღედლოება. ესე-  
ნიც მოწინებით ემთხვევნენ კათოლიკოსს ხელზე და ლმობიერათ  
მიემშვიდობენ სამღედლო პირთა. შემდევ კათოლიკოსი გამოუძღვა  
და მიიყვანა სეეტი ცხოველის ცკკლესიაში, სადაც წმიდა მამებმა თაყ-  
ანისცეს ცხოველმუფელს სეეტსა, სამაღლობელი პარაკლიის გადი-  
ადგეს და რამდენჯერმე ღამეც ჟოზიეს.

დიდხანს არ დარჩენილან ძეირფასი სტუმრები მცხეთაში. იგინი  
გაემგზაერნენ სხვა-და-სხვა აღვილებში, საკა უფრო შეესუსტებინა  
ქრისტიანობა წარმართობასა, რათა გაეძლიერებინათ სახარების ნა-  
თელი. დაარსეს სხვა-და-სხვა კუთხებში მონასტრები, რომელნიც  
შეიქნენ კერად ძლიერის სარწმუნოებისა, წმიდა ცხოვრებისა, სა-

ლრმთო წერილის ღრმათ შესწავლისა, დაუღალავი ლოცვისა და შეომისა.

თეოთველს მონასტერთან დაარსეს სასწავლებელი, სადაც მოზარდი ქართველები იღებდენ ქრისტიანულს სწავლასა და აღზრდასა, სწავლობდენ მაცხოვრისა და მამულის სიყვარულსა, ერთათ შეერთებულსა, და ემზადებოდენ ლისეულის ცხოვრებისათვის. აქე, ამ მონასტერში, ითარგმნებოდა სხვა-და-სხვა საღრმო და საერთ წიგნები, იწერებოდა თხზულებანი და გრაფებოდა აუარებელი ხელთანწერები. ყველა მონასტერი სცდილობდა გაემდიდებინა თავისი წიგნთ-საცავი მრავალი თხზულებითა, რომლითაც სარკებლობდენ ყველა წოდების ქართველები და იძენდნენ განათლებასა.



აბიბოს წეპრესედი



იოაკი აღავერდედი

წმიდა მამანი მოქმედებდენ ისეთი სამაგალიოთ თანხმობით, ისეთი ძმური ხათრით და ერთმანეთის პატივისცემით, რომ კაცი ეგონებოდა ცამეტსავე ერთი სული და გული უდგიათ გვამშიო. ამ მო-



მნიშვნელოვანი ერთ-სულობის მეობებით წმიდა მამათი საესტით ეწიონენ  
თავის გულის წადილსა: განამტკიცეს და განაძლიერეს ნათელი ქრის-  
ტიანობისა ქართველთა შორის და გაფანტეს კომლი წარმართობისა,  
ცეკვლ-თაყვანის-მცემლობისა.

აი ამ წმიდა მამათა სახელები: იოანე, შიო, დაეითი, იასე, აბი-  
ბოსი, იოსები, მიხეილი, პიროსი, ზენონი, სტეფანე, თათე ანუ თა-  
დეოზი, ისიდორე, ანტონი და ილია ღაეკვანი. პათან იოანემ და-  
არსა ზედაშინის მონასტერი, შიომ—შიო-შლეიშისა, ანტონიმ—მარტ-  
ყოფისა, დაეითმა—დაეით გარეჯისა, იოსებმა—ალავერდისა, სტეფა-  
ნემ—ბოდბისა, და სხვანი.

გავიცნოთ დაწერილებით მოლგაწეობა უფრო შესანიშნავი მა-  
მების.

### შეცდომის გასწორება.

შიორეველის ნო რის 49 გვერდზე დაბეჭდილია: „ბათუმიდან სომალ-  
დი მიცურავს შავს ზღვაზე, გაიკვის მარმარილოს ზღვას“. უნდა ეთ-  
ვიდიეთ: ბათუმიდან სომალდი მიცურავს პავს ზღვაზე და სამის დღის  
გარმავლობაში მიდის სტამბოლში ანუ კონსტანტინოპოლიში. აქედან მა-  
ცირავს ისევ დასავლეთისაშინ, გაიკვის მარმარილოს ზღვას“ და სხვანი.



სპარსეთის მეფე ქამბიზი.

(კუმღნი ღელ ბაქაძეს)



ლევამოსილის და მთელ აზიაში სახელგანთქმულის კი-  
როსის შემდეგ სპარსეთში გამეფდა ტა'ტის მემკვიდრე,  
შეილი ძლიერი კიროსისა, კამბიზი. მთელი სპარსეთის  
ერი და თვით დაპყრობილნი ქვეშევრდომნიც-კი დი-  
დის პატივისცემით იხსენიებდა კიროსს. სპარსეთის ბრძა-  
ნებელის გულკეთილობა, სამართლიანობა და განუსაზღვრელი თა-  
ვისიანობა ყველგან და ყველას ერთნაირათ სწამდათ. სპარსელების  
შეპირ-გადმოცემით კიროსი „ხალიხთა მამათ“-აა აღსარებული.

კამბიზი-კი, პირიქით, სულ სხვა ხასიათების მეტეთ გამოდგა.  
თვითნებობა, შეუბრალებლობა, უკიდურესი სისასტიკე — აი უმთავ-  
რესი თვისისებანი კამბიზის ხასიათისა. მთელი სახელმწიფო თრთოდა  
კამბიზის სახელის გაგონებაზე. კარის კაცნი და მეგობარნი დი-  
დის სიფრთხილით და თავაზიანობით შეცეურებდენ მეფის უოვე-  
ლიე სიტყვას, ძლიერ შიშობდენ მეფე უნებლიერ არ გაეჯვა-  
რებიათ, რადგანაც დარწმუნებული იყენ, რომ სასტიკის ბრძანებე-  
ლის რისხეა კარის კაცნის და მეგობარებაც-კი არ დაინდობდა. ის-  
ტორია არა ერთ და ორ საზიზღარ აშბაეს მოგვითხრობს კამბიზის  
სისასტიკისას.

ერთხელ კამბიზმა, როცა იგი ცოტათი შელეინიანდა, ჰეკითხა  
თავის მეგობარს პრექსასპს: „მართალი ჰითხარი, რა აზრისაა ჩემზე  
ხალხი!..“ — დიდებულო ხელმწიფევე, მოკრძალებით უპასუხა პრექსაპ-  
მა, — ხალხი გადისებს, აღტაცებულია შენის გაბრძნობილის ჭიჭით  
და სათნო თევისებებით, ხოლო ცოტა არ იყოს ლეინის გადამეტებით

სმას არ გიწერებსო. კამბიზი ძრიელ განრისხდა პრექსასპის ამგვარის კადნიერებით. ამდროს გაბრაზებულმა მეფემ შემთხვევით ფანჯრიდან დაინახა ეზოში სხვა ბაჟშებთან მოთამაშე პრექსასპის პირზში შეიღლა. სპარსეთის თვითმცყრობელმა მყისვე წამოაელო ხელი შეილდისარს და ეზოში მოთამაშე პრექსასპის ვაჟს დაუმიზნა. შეუბრალებელმა ისარმა ზედ გულში განგმირა სრულიად უდანაშაულო მსხვერპლი.—როგორ შოგწონს, მარჯვეთ ესტურუნი შეილდისარს!.. დამცინავი კილოთი დაეკითხა კამბიზი საკოდავ პრექსასპს. — თვათ ლძერთებიც ვერა სტურუნიან ასე მარჯვეთ!.. უპასუხა შიშისაგან მოყლი სხეულის კანკალით საბრალო მამამ.

მოხუცმა კრეზმა ერთხელ კამბიზს ძრიელ თავაზიანათ უჩინა გაჯავრების დროს თავი შეიკავეთ. მეფემ ეს რჩევა დიდ შეურაცხ ყოფათ მიიმჩნია და მყისვე ბრძანება გასცა კრეზი სიკედილით და ესაჯათ. მსახურთ კარგათ იცოდნენ თავისი ბრძანებელის უსწორმასწორი ხასიათების ამბები და ამიტომ გადაწყვიტეს, ხელმწიფის ბრძანება ჯერ-ჯერობით სისრულეში არ მოეიყანოთ, მეფე როგორ დამშეიდლება, უთუოთ სინაწყლით მოიგონებს თავის სასტიკ და უსამართლო განკარგულებასო. თუ ეს სინაწყლი მეფემ არ გამოიჩინა, კრეზი შესაძლოა შემდევ შიაც დაისაჯოსო. მართლაც რამდენ-სამე ხას შემდევ კამბიზმა დიდი მწერარება გამოაცხადა კრეზის სიკედილით დასჯის გამო. მსახური გამოუტყდენ და მოახსენეს მეფეს, რომ კრეზი ცოცხალიაო.

— „დიდათ მოხარული ვარ“, ბრძანა კამბიზმა, „რომ კრეზი სიკედილს გადარჩნია, ხოლო ვინც ეს გაბედა და ჩემი ბრძანება სისრულეში არ მოეყანა, იყი დაუყონებლივ სიკედილით დაისაჯოს!..“ მართლაც კრეზის სიკედილისაგან დამხსნელნი მსახურნი უსამართლოთ სიკედილით დაისაჯენ.

კამბიზის სისასტიკის ბრჭყალებს მეფის ღვაძლი ძმა სმერდისიც კი ვერ ასცდა. კამბიზმა ერთხელ სიზმარი ნახა, რომ ეითომ სმერდისი სპარსეთში გამეფებულიყო. მეფე ამ სიზმარმა იმოდენათ შე-



აშუოთა, რომ ბრძანება გასცა სმერდისი სიკვდილით დაესაჯათ. სა-ბრალი სმერდისს აზრადაც არ მოსელია სპარსეთში გამეფებულიყო, მაგრამ უსამართლო თვითმპრობელის შეუბრალებელი ბრძანება მაინც სისრულეში მოიყანეს, და სრულიად უდანაშაული სმერდისი უდროოთ სიცოცხლეს გამოასალმეს.

მეექსე საუკუნის დასაწყისში კამბიზმა ქართე და სასტიკი ომის შემდეგ ეგვიპტე დაიმოჩინდა. სპარსეთის ბრძანებელი უდიერათ მო-ქუა დამორჩილებულთ. ეგვიპტეს უკანასკნელი მეფე პსამენიტი მოე-ლის ოჯახობით სამარცხეინოთ დატუვებულ იქმნა.

წარჩინებულ პირთა ქალ-ეაქებს და თეით პსამენიტის ოჯახო-ბას დაავალეს ყოველივე საქმით საქმეების წარმოება. ფუფუნება და სიმღიდორეში აღზრდილი ქალ-ეაქენი დაფლეთილ და დაგლეჯილ ტანთსაცმელში შემოსილი აუტანელ ჭაპანწყვეტას ეწეოდენ. პსამე-ნიტს რომ უფრო მძლავრათ ეგრძნო თავისი უბედურება, იგი გა-მოიყანეს სწორეთ ინ ადგილას, სარა ყოველგვარ შეურაცყოფას და დამკირებას აყენებდენ მეფის ასულებს და სხვა წარჩინებულ პირთა შეილებას. პსამენიტი წარბშეუხელი შეჰყურებდა თავისი ქა-ლების უდიერათ წვალებას, და თავ-დახრილი სიტყვას არა სძრავდა. შემდეგ მეფის ახლოთ ჩამოატარეს მისი ერთად-ერთი ე-ქი, რომე-ლიც სასიკვდილოთ იყო გამზადებული. პსამენიტი აქაც არ შედრ-კა, იგი მძიმე მწუხარებას თავის გულში უხმოთ იკლავდა.

ამ დროს პსამენიტის მახლობლათ ვიღაც დაფლეთილ-დაგლე ჯილ ტანთსაცმელში სპარსელების შეომრებს მოწყალებას თხოვდა. პსამენიტმა იცნო ძონებში გახევეული თავისი მეგობარი და ხმა-მღლიფ მწარე ქვითანი მორთო. კამბიზი გააკერტა პსამენიტის ამ-კერძმა საქციელმა.—რათ არა სტიროლი მაშინ, როცა მენი ქალე-ბი სამარცხეინოთ წყალს ეზიდებოდენ, როცა შენი ერთად-ერთი ვა-კო სასიკვდილოთ გამზადებული თვალ-წინ ჩამოაგიტარესო, ჰეითხა გა-კირვებით კამბიზმა თვალებში ცრემლებ-მორჩულ ეგვ-პტის უკანასკ-ნელ მეფეს.

— „ჩემი პირადი და ჩემი საკუთარი ღჯანის მწუხარება იმოდენათ მძლავრია“, უპასუხა პსამენიტმა, „რომ ცრემლებით ამის გამო-  
თქმა შეუძლებელია. ხოლო როცა მეგობარს ხედავ რომ უბედუ-  
რება თავს დასტეხია, მაშინ ძნელია კაცმა ცრემლები ვერ მოძებნოს  
და მეგობრის უბედურება თავის უბედურებათ არ მიიჩნოს!..“ კამ-  
ბიზის ისე მოეწონა ეს პასუხი, რომ ბრძანება გასცა პსამენიტის შეი-  
ლი გაეთავისუფლებინათ, მაგრამ გვიანდა იყო, ეგვიპტის ტახტის  
მემკედრე უკვე სიკედილით დაესაჯათ.“

„ა. უშმისთაველი“





## მტრედის გამჭრიასობა.

(პატარებისთვის).



რთ ქალაქის განაპირას იდგა ჰატარა სახლი, მის ფანჯრებზე ქანდარას სავით ფიცრები იუო გამოშვერილი. ამ ჰატარა სახლში ცხოვრობდა ერთი ღარიბი სახლობა. ისინი ინახვდენ მრავალ ძინაურ ფრინველებს: ქათმებს, ბატებს, ინდოურებს და სხვებს და მერე მიჴეავდათ ბაზარში გასაუიდათ და ამითი იკვებებოდენ.

ეს ოჯახი მეტათ ქეთილი იუო, უევარდა უოველგვარი ფრინველი. მტრედები და ბეღურებიც-კი, — ეს მუქთა მჭამელი ფრინველები, უშიშრათ მოფრინდებოდენ და გეჩვდენ ძინაურ ფრინველებთან ერთათ მარცვლებს.

ერთი წევილი მტრედი ძალიან შეეჩია ამ კეთილ მასზინმლებს. ბუდის გაგეთებაც-კი დაიწეს ფანჯრის ფიცრებზე. სახლის მცხოვრებლები არ აგდებდენ ამ მტრედებს, ჰირ-იქით სიამოვნებით უეურებდენ წევილი ნაცარა

მტრედი როგორ მეგობრულია, სიუვარულით მუშაობდენ. რამდენსამე ხანს შემდეგ დედალი მტრედი დაჯდა გვირცხუბზე ბარტექის გამოსახუქათ. დედალი მტრედი მხოლოდ მამინ მიატოვებდა, ისიც დოოებით, თავის ბუდეს, როდესაც მოშევდებოდა და მოწუურდებოდა, მამინ მამალი მტრედი დაჯდებოდა მის ადგილას. ამას-კი იმდენი მოთმინება არა ჰქონდა, ხშირთ მამინვე გამოუდგებოდა თავის მეგობარს.

ერთხელ დედალმა მტრედმა წერალი დალია და წამოვიდა თავის ბუდისკენ; აქ, თავის მეგობრის მაგივრათ, ბუდეში დაუსვედა ქათამი. ამ ამბავშა მალიან გააოცა მტრედი. ფრთების შრიალით, გაჯავრებული მიგარდა ამ დაუპატივებელ სტუმარს და დაუწეო კორტნა. ქათამი არ დაიმრა. მტრედი ცდილობდა ნისკარტის ცემით აეგდო, მაგრამ ქათამშა თავიც არ მიიბრუნა მისკენ. არაფერი ცდა არ გაუვიდა ბუდის ჟარიონს – დალურსმულსავით იჯდა ქათამი. ბოლოს მიხვდა მტრედი რომ ამ შეუძლებორთან ვერას გააწეობს. მოშორდა ბუდეს, დაჯდა შორი-ახლოს ღობეზე და მოუსვენრათ აქეთ-იქით გაიცეირა. მერე უცბათ მემოჟირა ფრთებს და გაჟირა სადღაც შორს, შორს.

გავიდა ხუთი წუთი. ქათამი თითქოს თავის საბუდარ-შიათ მოსვენებით იჯდა, ერთბაშათ მოისმა ფრთების შრიალი, მტრედების გუნდი მოფრინდა, ათზე ნაკლები არ იქნებოდა.

ქათამშა ვერც კი მოასწორო მათი დანახვა რომ უ-  
კლ მხრიდან მტრედებმა დაუწევეს მას ცემა ფრთებით,  
ნისკარტით და ფეხებით. ქათამშა ვეღარ შესძლო. ამო-  
ვარდა ბუდიდან და მოჰკურცხსლა, მავრამ ასლა ავრე ად-  
ვილათ ვერ გადურჩებოდა ამ მტრედებს. ესენი აედეგნენ,  
აღარ ზოგავდენ, რაც შეეძლოთ დამარცხებულს სცემდენ  
და სცემდენ. საბრალო ქათამი სიმწარით სულ გადირია  
და რომ ვეღარ იპოვა თავისთვის ადგილი შეგარდა თავ-  
ლაში. მტრედები იქაც შეუვარდენ და საძინელი დღე და-  
აუნეს.

ცემით გაჩეჩილი ქათამი ბოლოს გაჩნდა მამლის გვერ-  
დით. მაძინ-კი მამხლმა გაუწია მფარველობა: თავისი დე-  
სებიანი ფეხებით და მავარი ნისკარტით ისე დაუწეო ცე-  
მა მტრედებს, რომ ამათ თავი დაანებეს ქათამს, და აქეთ-  
იქით წავიდ-წამოვიდენ. გამარჯვებული მტრედი-კი დაკ-  
და მაძინვე კვერცხებზე და თან გულმოდგინეთ ისწორებ-  
და თავის ფრთებს.

ცალკა.





## გ ა ს ა რ თ ყ ბ.



ცურუე სოფელი ჩინეთში. ჩინეთში ხალხი აეკ-  
 რია და მიწა-კი ცოტა აქვთ, ამიტომ დიდ მდი-  
 ნარეებზე ხშირათ შეხვდებით ისეთ დიდონ ტიფებს, რომ-  
 ლებზედაც აძნებულია მთელი სოფლები. სახლები ისე რიგ-  
 ზეა ჩამწკრიებული რომ შიგა და შიგ ნაძღვილი ქუჩებია  
 ხოლმე გაუვანილი.

ტივზე მცხოვრებლები ვაჭრობენ, არიან ხელოსნები,  
 მეპურები, უასპები, ხილის ვამეიდველები, მეჩექმები და  
 სხვ.

თუ მცხოვრებლები მოინდომებენ ადგილის გამოცვე-  
 ლას დაუწეუბენ ორთავევირებით წევას ტივს იქამდის, სა-  
 ნამ უკეთეს ადგილს არ მიჰლენ.



**ჩ**იდი ხანი არ არის რაც ქალაქ კენაში მოკვდა ვაჭა-  
რი ტრეილი, თუმცა ამას ღიდი ვაჭრობა ჰქონდა, მა-  
ლიან ხელ-მოჭერით ცხოვრიბდა, თითქმის დარიბათაც. ვა-  
ჭარს ზოგი კრიუანგათ ივლიდა, ზოგს-კი ეგონა, რომ არ  
იცის თავისი საქმეების მოწეობა და ამიტომ დარიბიც პრისო.  
ტრეილი სულ მარტოთ-მარტო იქო, ქვეეანაზე არავინა  
ჟაფრდა მახლობელი.

როდესაც ვაჭარი მოკვდა და გასხნეს მისი ანდერძი,  
გამოჩნდა რომ მილიონზე მეტი გულდენი ჰქონდა და ეს  
ფული ერთ-ასათ უანდერმებია სამეცნიერო აკადემიისა-  
თვის.

— თუმცა მე თვითონ ბევრი არა მისწავლია-რა, ასე  
სწერდა ტრეილი თავის ანდერძში, — მაგრამ ჩემი ოცნება  
ის იქო, რომ მომეცროვებინა მილიონი და ეს ფული მო-  
ქმარებინათ სწავლულებს ხალხის საბედნიეროთ.





## କାନ୍ତିଲାଲ କଣ୍ଠରୀ.

(୧. ମହାତ୍ମାଜୀଶ୍ଵର ନାନ୍ଦୁରାଜଙ୍କ ପାଠ. କୃତିକାଳିକାଶାଖାନ୍ତିଲାଲ).

ଗିରିରୁଗି ଶାତ୍ରନିଶ୍ଚେଷିଲୁବା ତାଏଇ ଉପ୍ରେଦ୍ୟାରୀ ଯେବନା;  
 ଶ୍ରୀଲାଲ ପ୍ରୁଣିଆ ଗୁରୁମଣି ମନ୍ଦିରରେ—ତଥାଲୀରେ କାହାଲୀରେ ଯେବନା;  
 ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିରେ ଲୋକାରୀରେ କାହାରେ ପ୍ରୁଣିଆରେ—କାହାରେ ଅନନ୍ତରେ ଯେବନା;  
 ପିଣ୍ଡରେ କ୍ଷେତ୍ରରେ ତାଏଇ ମନୁଷ୍ୟରେ—ତଥାଲୀରେ ବାଲୀରେ ଯେବନା;  
 ପ୍ରୁଣିଆରେ କାହାରେ ହାତିରେ—ଶ୍ରୀମତ୍ତୁମନିଶ୍ଚେଷିଲୁବା ଏହିଏ ଯେବନା;  
 ଯୈଷିଦ୍ଧିଶିଳ୍ପିରେ ପ୍ରାଚୀନ୍ଯରେ—ଅନ୍ତର୍ଦ୍ଵାରରେ ଅନ୍ତର୍ଦ୍ଵାରରେ ଯେବନା;  
 ପାତାରେ ଓ ଶ୍ରୀଲାଲରେ ପ୍ରାଚୀନ୍ଯରେ—ପ୍ରାଚୀନ୍ଯରେ ପାତାରେ ଯେବନା.

## ଗାନ୍ଧିଚନ୍ଦ୍ରକାନ୍ତିଲାଲ.

(ନାନ୍ଦୁରାଜଙ୍କ ପାଠ. କୃତିକାଳିକାଶାଖାନ୍ତିଲାଲ).

ଶୁଭତାରିଶି ମଦିନାରାଶ ପ୍ରାଚୀନ୍ଯରେ  
 ଯିମାଲ୍ପେଦ୍ବାଦୀ ସାବଲିଶିବା;  
 ଶିଳ୍ପିରେ ତ୍ୟାଗରେଶି ମହାରାଜା  
 ଅନାର ମନୁଷ୍ୟରେ କାହାରିଶିବା;  
 ପିଣ୍ଡରେ ପାତାରେ ପ୍ରାଚୀନ୍ଯରେ  
 ପ୍ରୁଣିଆ ମନୀରୁପ୍ରାଚୀନ୍ଯରେ ତାଏଇଶିବା,  
 କାନ୍ତିଲାଲ-କାନ୍ତିଲାଲ ଶାତ୍ରନିଶ୍ଚେଷିଲା,

ღრო ჰაპანება სიცხისა,  
 გაელესე ჩემი ნესტარი  
 დაფლექ დალაქათ სისხლისა;  
 უველას ვუჩხვლიტე, ვაზტუნე,  
 ლირსიც გაეხადე წიხლისა.

---

ადლის ოდენა ტანი მაქეს  
 იმაზე მეტი კუდია,  
 მით ბერი ვჭამე მე ტყბილი  
 რამდენიც ვიქმენ ცუდია.

---

(წარმოდგენილი გაურქა მამუქავისგან).

ერთხელ დამწევს არ მაკმარეს,  
 მეორეთაც ლამობენო;  
 ქვეყანაზე ზამთარ ზაფხულ,  
 შეშის ბადლათ მხმარობენო.

---

(წარმოდგენილი ნინა კვადაშვილისგან).

ბუხარი ქვისა, მილი ხისა, ცეცხლი ბალახისა

ა ნ ა გ რ ა მ ა.

(წარმოდგენილი ქ. ფრთხილისბარედისაგან).

უხმო ასო რამ გვაზიზლებს,  
 რომ მიეუმატოთ თაეშია;  
 იგია ერთი ცხოველი  
 ენა ნალესი შხამშია.

თუ რომ დაეუკლებთ იმ ასოს,  
გული დაგიწყებს ძეგრასა  
და ყველილებით შემკულსა,  
ბუნება უწყებს ცოდრასა.

۱۶۹۰

სადაც ხეს გათლივან ნაფორიც იქვე დაცვინდებათ.

ობოლს ჰეითხეს, რომ გაიზრდები ვის შეავინებო—და ვინც გამზარდა.

ପାଞ୍ଚମିତିବ୍ରଦ୍ଧି

პირველი სათამაშოა, ბაქვეების გამართობელია  
ჩიყის ქეა არის მაგარი, მორგვალებული, ბრტყელია.  
მეორით უკან დაიწეს, შემძული საქონელია,  
ამა სიტყვისა მეურმე, მკაფიოთ გამომთქმელია;  
პთლიათ ცუდი ხელოსანია, პირუტყვეთა სისხლის მღერელია.

ჩქარა გამოსახ ქმედი.

(წარმოდგენილი ქ. სესხიაშვილისაგან).

ოხვალსა, თხალის ქვეშ თხუნელა ეთხილ თხუნელებოდა.

କ୍ଷେତ୍ରକୁ ପାଇମନ୍ତେ ମେଲି ଆ. ଟ୍ରେମ.-ଫ୍ରାନ୍କିଲନ୍ସ.

საქართველოს ნაზატებიანი უფრინალი

# „ჯეჯილი“

წელიწადი მეთორმეტე

გამოდის 1901 წელსაც თევზი ერთხელ იმავე პროგ-  
რამით, როგორათაც აქმდის.

ეურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარ-  
ქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან  
სასწავლებლების სამკითხველოებში ხაყითხავათ.

ეურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს  
4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე  
ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახე-  
ვარ წლით.

ხელის მოწერა მიღება:

1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგა-  
დოების“ კანცელარიაში (Цворцовая ул. д. Груз.  
Двор., № 101), და თევზ „ჯეჯილი“-ს რედაქცია-  
ში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетского кор-  
пуса).

ფოსტის ადრესი: Вѣ Тифлісѣ, вѣ редакцію  
грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджиси“. .